



საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი



პრესრელიზი

„ნეოგაზის“ განახლებული ეკო სადგური ზესტაფონში



ზესტაფონის რაიონის სოფელ არგვეთაში „ნეოგაზის“ განახლებული ეკო სადგური გაიხსნა. სადგური აღჭურვილია უახლესი ტექნოლოგიებით. ევროპული სტანდარტების გათვალისწინებით დანერგილია ახალი მექანიზმები. სადგურზე სრულად იქნება დაცული უსაფრთხოების ნორმები და უმაღლესი სტანდარტები. „ნეოგაზმა“ ამ ეტაპზე ზესტაფონში ოცამდე ადგილობრივი

მოსახლე დაასაქმა.

სადგურის გახსნის ღონისძიებას კომპანიის წარმომადგენლებთან ერთად ესწრებოდნენ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, გამგებლის პირველი მოადგილე და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები.

„ნეოგაზი“ მომხმარებელს მაქსიმალურ კომფორტს თავაზობს. უახლოეს პერიოდში სადგურზე ამუშავდება სწრაფი კვების ობიექტი, მოეწყობა ინფრასტრუქტურა ელექტრომობილებისთვის- ელექტრო დამტენები, ამოქმედდება ვულკანიზაცია და ავტოსამრეცხაო.

კომპანიამ აქციის ფარგლებში „გაგაზე ზღვაზე“ „ნეოგაზის“ მომხმარებელს საჩუქარები დაურიგა: წყალი, რუკა, ბრენდირებული მანქანის მზისგან დამცავი და ჩანთა და ეკო საჩუქრები- ეკო ფანქარი-ფიჭვის თესლებით, რითაც შეგიძლიათ დარგონ ერთი ძირი ხე.

„ნეოგაზი“ ზესტაფონშიც აგრძელებს აქციას „მწვანე ჩვენი არჩევანია!“ რომლის ფარგლებშიც სხვა ეკო სადგურების მსგავსად, ზესტაფონის განახლებული სადგურიც გამწვანდება: მწვანე საფარი და ნარგავები. „მწვანე ჩვენი არჩევანია“ კონცეფციის მიხედვით. მომხმარებელი ერთ-ერთი ყველაზე უსაფრთხო, ეფექტურ, ეკო სადგურში გამართავს ატომობილს და ამ პროცესს მწვანე, რეკრეაციულ, თანამედროვე ეკო სადგურზე შეძლებს. ამასთან შეკუმშული

"Georgian Industrial Group" Ltd
Gazapkhuli str. 18, 0177, Tbilisi
Tel.: +995 32 221 01 87
Fax: +995 32 221 01 89
www.gig.ge

გთხოვთ მოგვმართოთ:
E-mail: m_manjgaladze@gig.ge
Mob: 995 577 77 03 06
E-mail: n_bandzeladze@gig.ge
Mob: 995 577 77 03 01

შემოგვიერთდით: 
Georgian Industrial Group Holding





საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი



პრესრელიზი

ბუნებრივი აირი სხვა ალტერნატიულ საწვავთან, ბენზინთან და დიზელთან, შედარებით ეკოლოგიურად სუფთა და იაფი საწვავია. „ნეოგაზის“ ლოიალური ბარათის „ნეოქარდის“ მფლობელებს შესაძლებლობა აქვთ დაიბრუნონ დახარჯული თანხის მნიშვნელოვანი ნაწილი და „ნეოქარდზე“ დაგროვილი უფასო კილომეტრებით „გაგაზონ“ და დაისვენონ ზღვაზე.

კომპანია „ჯი-აი-ჯი“ ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ინდუსტრიული ჯგუფია საქართველოში. მისი ბიზნეს პორტფელი მოიცავს ნახშირის მოპოვებას, ელექტროენერჯის გამომუშავებას (ჰიდრო, ბუნებრივ აირზე და ნახშირზე მომუშავე სადგურები) ბუნებრივი აირით ვაჭრობასა და უძრავი ქონების მართვას. „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ დამფუძნებელია დავით ბეჟუაშვილი.

"Georgian Industrial Group" Ltd
Gazapkhuli str. 18, 0177, Tbilisi
Tel.: +995 32 221 01 87
Fax: +995 32 221 01 89
www.gig.ge

გთხოვთ მოგვმართოთ:
E-mail: m_manjgaladze@gig.ge
Mob: 995 577 77 03 06
E-mail: n_bandzeladze@gig.ge
Mob: 995 577 77 03 01

შემოგვიერთდით: 
Georgian Industrial Group Holding

